ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისია
სტაჟიორთა შესარჩევი კონკურსის შედეგები

2025 წლის 1 სექტემბრიდან გამოცხადდა სტაჟირების კონკურსი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებში:

ა) იურიდიული განყოფილება - 1 ვაკანსია;

ბ) საქმისწარმოებისა და ადმიანური რესურსების მართვის განყოფილება - 1 ვაკანსია;

გ) მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება - 1 ვაკანსია.

კონკურსი გამოცხადდა ელექტრონულ მისამართზე www.hr.gov.ge და განცხადებების წარსადგენ ვადად განისაზღვრა 2025 წლის 1 სექტემბრიდან 2025 წლის 10 სექტემბრის ჩათვლით პერიოდი.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსი ჩატარდა ორ ეტაპად. სტაჟირების მსურველი პირის შეფასება განახორციელა შესაბამისმა საკონკურსო კომისიამ:

ა) პირველი ეტაპი - საბუთების გადარჩევა (1.09 - 10.09.2025);

ბ) მეორე ეტაპი - გასაუბრება (29.09.2025).

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ ადმინისტრირებული ვებ-გვერდის www.hr.gov.ge-ის მეშვეობით სტაჟირების მსურველი პირების სტაჟირების კონკურსში მონაწილეობის მისაღებად 3 ვაკანსიაზე 64 კანდიდატის მიერ წარმოდგენილი იქნა 64 განაცხადი.

კონკურსის პირველ ეტაპზე დარეგისტრირებული განაცხადიდან კომისიის მიერ დადგენილი მოთხოვნები დააკმაყოფილა 26 კანდიდატის 26 განაცხადმა (ვერ დააკმაყოფილა 38 კანდიდატის 38 განაცხადმა).

კონკურსის მეორე ეტაპზე 3 ვაკანტურ პოზიციაზე მონაწილე 26 კანდიდატიდან, გამოცხადდა 5 კანდიდატი (არ გამოცხადდა 21 კანდიდატი). კონკურსის საბოლოო შედეგების მიხედვით, მეორე ეტაპი ვერ გადალახა 4 კანდიდატმა, ხოლო წარმატებულად გადალახა და გამარჯვებულად გამოვლიდა 1 კანდიდატი (1 კანდიდატი - ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და ადმიანური რესურსების მართვის განყოფილებაში).